განათლების, მეცნიერების და
ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

33 გასაღები

ნინო შარაშენიძე
ანი კუდუხაშვილი
მაია წიკლაური
თინათინ ლომსაძე
ნინო ქიმერიძე
თამარ ჩხაიძე
ხათუნა ყოჩაშვილი
მარეხ კუტალაძე

მოსწავლის წიგნი

ილუსტრატორი:
ია გიგოლაშვილი

დიზაინერი:
ბესიკ დანელია

კორექტორი:
მაია წიკლაური

ქართული მცირერიცხოვანი ერის ენაა, მაგრამ მართლაც უძველესი, უმშვენიერესი და უმდიდრესი ენაა... და რამ უნდა აცოცხლოს და განავითაროს ეს ენა? ბევრ მთავარ ფაქტორს შორის, ერთ-ერთი მისი პოპულარიზაციაა – ქართული ენის ცოდნის მსურველთა რიცხვის მუდმივი ზრდა... განსაკუთრებით მაშინ, როცა თავისუფლებამ ბევრი ემიგრანტი და შერეული ოჯახი წარმოშვა... ასე რომ, ლოგიკურად გამოიკვეთა ის სფერო, რომელიც ქართული ენისათვის უმნიშვნელოვანეს მსახურებად ითვლება... ეს ლოგიკური, სასურველი, აუცილებელი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ქართული ენის დისტანციური სწავლების პროგრამამ“ დაიტია... მიზანი ასეთია – რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა ისწავლოს ქართული; იმ ადამიანებმა, რომელთა ფესვებიც საქართველოშია.

2016 წლიდან დღემდე, ონლაინ სივრცეში, ქართული ენის სიყვარულით მრავალი ადამიანი გაერთიანდა, რომელთაგან ზოგი მოსწავლეა და ზოგიც მასწავლებელი. დღითიდღე უფრო იზრდება ქართული ენის შესწავლის ინტერესი და შესაძლებლობა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც, ბედისა და თუ სხვადასხვა საჭიროების გამო, უცხო ქვეყნებში აღმოჩნდნენ, თუმცა აქვთ დიდი სურვილი, გააცნონ შვილებს ეს „ძვირფასი სამყარო“. ამასთან ერთად, მშობლიური ენის მხარდაჭერა და შენარჩუნება ეფუძნება საერთო ევროპულ ღირებულებებს და სარგებელი მოაქვს მთელი საზოგადოებისთვის. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციით, ბავშვის განათლება მიზნად ისახავს ბავშვის საკუთარი კულტურული იდენტობის, მისი ენისა და ღირებულებებისადმი პატივისცემის განვითარებას. ამიტომაც მშობლიური ენის სწავლა აუცილებელია ყველა ადამიანისთვის, ვისაც სურს იცოდეს თავისი ფესვები და იდენტობა. ასევე, მრავალმა კვლევამ აჩვენა, რომ ბილინგვიზმი აძლიერებს კოგნიტურ უნარებს, აუმჯობესებს კონცენტრაციას და ფოკუსირებას, მეხსიერებას, ყურადღებასა და კონტროლს.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ქართული ენის ონლაინ სწავლების პროგრამაში დღითიდღე იზრდება იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებსაც სურთ ჰქონდეთ კავშირი სამშობლოსთან; ასევე, საგრძნობლად იმატებს საკვირაო სკოლების რაოდენობა სხვადასხვა ქვეყანაში. სწორედ ამ ყველაფრიდან გამომდინარე, გაჩნდა აუცილებელი საჭიროება, შექმნილიყო ინტერაქტიური სახელმძღვანელო, რომელიც, ერთი მხრივ, თანამედროვე მეთოდებს და, მეორე მხრივ, ენის ყველა მიმართულებას მოიცავდა

და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს არ იქნებოდა მხოლოდ ენის შემსწავლელი სახელმძღვანელო. „33 გასაღები“ მდიდარია ქართული კულტურის, ხელოვნებისა და ისტორიის იმ საკითხებით, რომლებიც მომავალში მოსწავლეებს ჩამოუყალიბებს ქართულ ეროვნულ იდენტობას; მასწავლებლებს კი დაეხმარება, სასწავლო პროცესი უფრო მრავალფეროვანი და გრძელვადიან მიზანზე ორიენტირებული გახადონ, რაც სამომავლოდ აამაღლებს ემიგრანტი მოსწავლეების თვითშეფასებას და ხელს შეუწყობს მშობლიური ენის ცოდნის გამოყენებას ცხოვრებაში.

მოხარული ვარ, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში მოქმედი პროგრამის ფარგლებში შეიქმნა ეს მეტად საჭირო და აუცილებელი რესურსი. რა თქმა უნდა, მადლობას ვუხდი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და სახელმწიფო ენის დეპარტამენტს ამ უმნიშვნელოვანეს ეროვნულ საქმეში ჩართულობისა და მხარდაჭერისათვის.

ბერიკა შუკაკიძე
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი

საქართველოს საპატრიარქოსთვის, საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ მოზარდებში მშობლიური ენის შენარჩუნების საკითხი. როგორც ილია მართალმა ბრძანა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?“.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ერთობლივი ძალისხმევით, შეიქმნა სახელმძღვანელო – „33 გასაღები“, რომელიც განკუთვნილია უცხო ქვეყნებში მცხოვრები ქართველი (და არა მხოლოდ) ბავშვებისთვის, რათა მათ შეძლონ მშობლიური ენის შესწავლა/გაუმჯობესება. მათთვის სამშობლოსთან კავშირი და ამ კავშირის განმტკიცება ეროვნული იდენტობის შენარჩუნებას ნიშნავს, რადგან ადამიანს სამყაროს შეცნობა მხოლოდ მშობლიური ენით შეუძლია.

აღნიშნულ პროექტში მონაწილეობა დიდად მნიშვნელოვანია საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისთვის, რადგან მშობლიური ენის სათანადო დონეზე დაუფლების შემთხვევაში, მოზარდები შეძლებენ ჩვენი ქვეყნის რელიგიის ისტორიის გაცნობასაც.

მნიშვნელოვან ეროვნულ საქმეს აკეთებს ამ მიმართულებით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში მოქმედი ქართული ენის დისტანციური სწავლების პროგრამა. ამ პროგრამაში ჩართული მოსწავლეები ცხოვრობენ საზღვარგარეთ და იმყოფებიან სხვადასხვა კულტურულ და სოციალურ გარემოში. ქართული ენის დისტანციური სწავლების პროგრამის საშუალებით, საზღვარგარეთ მცხოვრები ბავშვები სწავლობენ მშობლიურ ენას და, იმადროულად, სხვადასხვა ქვეყანაში ქართული ეკლესიის ფრთის ქვეშ მოქმედ სამრევლო თუ საკვირაო სკოლებში მოსწავლეები პირისპირ ეზიარებიან რელიგიის ისტორიასა და ქართულ კულტურას.

ზემოხსენებულ უწყებათა თანამშრომლობის ფარგლებში, კვლავ გავაგრძელებთ მუშაობას სხვადასხვა დონის სასწავლო რესურსების შექმნაზე, რომლებიც დაეხმარება უცხოეთში მცხოვრებ ქართველ მოსწავლეებს სამშობლოსთან დაახლოებაში.

საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულე მოზარდებში ქართული ცნობიერების ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშეწყობა საქართველოს სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანს წარმოადგენს. ქართული დიასპორისათვის მშობლიური ენის შენარჩუნება ოდითგანვე მნიშვნელოვანი იყო. ჩვენი დიასპორა, ჩვენს სახელმწიფოსთან ერთად, ნათლად აცნობიერებს, რომ უცხოეთში დაბადებული ქართველი ბავშვებისთვის მშობლიურ ფესვებთან კავშირის შესანარჩუნებლად უმთავრესი მშობლიური ენის ცოდნაა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან ერთად, განახორციელა კიდევ ერთი ერთობლივი პროექტი, რომელიც საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს პატარა თანამემამულეებს ქართული ენის ცოდნის გაუმჯობესების საშუალებას მისცემს. პროექტის მიზანია, ქართული ენის სწავლის პროცესში ჩართოს ყველა ის ქართველი ბავშვი, რომელიც დღეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში იმყოფება და სურს დაეუფლოს მშობლიურ ენას.

სახელმძღვანელო წარმოადგენს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად შემუშავებული ქართული ენის სწავლების ინტეგრირებული, სამსაფეხურიანი პროგრამის შემადგენელ ნაწილს – მის პირველ საფეხურს და განკუთვნილია დამწყებთათვის. სახელმძღვანელოს გაუმჯობესების აუცილებლობა საკვირაო სკოლების პედაგოგებთან არაერთი შეხვედრის შედეგად გამოიკვეთა. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სახელმძღვანელოს დახვეწასა და სრულყოფაზე წინადადებების შემუშავების პროცესი ერთობლივად, სახელმწიფოს, საკვირაო სკოლების პედაგოგებისა და საავტორო ჯგუფის ჩართულობით მიმდინარეობდა, რამაც შესაძლებელი გახადა, შექმნილიყო ქართული ენის პირველი საფეხურის, დაწყებითი დონის, ახალი ინტეგრირებული სახელმძღვანელო – „33 გასაღები“ (ქართული ენის სახელმძღვანელო დამწყებთათვის).

სახელმძღვანელო, რომელიც მომზადდა განათლების სისტემაში მოღვაწე პროფესიონალთა გუნდის მიერ, ითვალისწინებს საზღვარგარეთის ქვეყნებში მოქმედ საკვირაო სკოლებში ერთიანი სტანდარტის დანერგვასა და სწავლების დონის ამაღლებას. ის ხელს შეუწყობს საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ ბავშვებში ქართული ენისა და კულტურის პოპულარი-

ზაციას, სამშობლოსთან სიახლოვის განცდას და საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს პატარა თანამემამულეებს ქართული ენის ცოდნის გაუმჯობესების საშუალებას მისცემს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად,სამომავლოდ კვლავაც გააგრძელებს მუშაობას თანამემამულე მოზარდების სასკოლო მზაობის შესაბამისი, ერთიანი სტანდარტის შესატყვისი სახელმძღვანელოების შესაქმნელად, ჩვენი ქვეყნის კულტურული და ეროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით, რათა ხელი შეუწყოს საზღვარგარეთ მცხოვრებ მოზარდებს ქართული ენის შესწავლაში, მშობლიური ქვეყნის ისტორიის გაცნობაში, ეროვნული ფასეულობების განმტკიცებაში.

მუხრან გულაშვილი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი

წინასიტყვაობა

ენა – სამყაროს აღქმის საუკეთესო გზა...
ენა – აზროვნების ფორმა...
ენა – უწყვეტი კავშირი სამშობლოსთან...
ენა – ურთიერთობა ერის წარსულთან, აწმყოსა და მომავალთან...

ენის დაკარგვა ფესვებიდან მოწყვეტას ნიშნავს...
ენის დაკარგვა ცნობიერების დიდი ნაწილის დაკარგვას ნიშნავს...
ენის დაკარგვა სამშობლოსთან კავშირის გაწყვეტას ნიშნავს, რადგან სადაც არ უნდა იყო, მაინც თან დაატარებ სამშობლოს, თუ ენა იცი...

ეს წიგნი მათთვისაა, ვინც იცის მშობლიური ენის მნიშვნელობა...
ეს წიგნი იმ მოსწავლეებისთვისაა, რომლებსაც სურთ, რომ ქართული ანბანის შესწავლა ერთდროულად იყოს საინტერესოც და სახალისოც; ამასთანავე, სურთ, რომ ანბანთან ერთად ენის აქტიურ ლექსიკასაც დაეუფლონ...

ჩვენს წიგნს „33 გასაღები“ ჰქვია და შემსწავლელს გულწრფელი სიხარულით გადავცემთ ქართული ენის ყველა კარის გამხსნელ 33 გასაღებს... ისინი ქართული ენის უსაზღვრო სამყაროში შეგიყვანთ, სადაც ფასდაუდებელი საგანძურია...

ამ ფერად წიგნში მოცემულია ქართული ანბანის 33 ასო და 33 თემა... თემები მოიცავს სხვადასხვა საკითხის მთავარ ლექსიკას... აქვეა მცირე ზომის სახალისო ტექსტები, რომლებიც შეიძლება „ერთობლივი კითხვის მეთოდით“ დამუშავდეს, სწორედ ისევე ბუნებრივად, როგორც მშობლები უკითხავენ წიგნებს პატარებს და ისინიც თვალს აჩვევენ ქართულ ასოთა მოხაზულობას, უმეგობრდებიან წიგნს; მერე კი ყოველგვარი ძალდატანების გარეშე სწავლობენ კითხვას...

წიგნი სრულ შესაძლებლობას აძლევს ყველას, თავისი სურვილისა და პრინციპის მიხედვით გაეცნოს თემასაც და ანბანის ასოსაც, თანმიმდევრულად იქნება ეს თუ არათანმიმდევრულად... მთავარია, ყოველი გვერდი ისე აღიქვათ, როგორც ახალი კარის ახალი გასაღები.

ნინო შარაშენიძე
წიგნის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი

შინაარსი

1 Არდადეგები. Აეროპორტი

5 Ბუნება. Ბოტანიკური ბაღი

9 Გარეგნობა; სხეულის ნაწილები

13 Დაბადების დღე

17 Ექიმთან

21 Ვარჯიში; ჯანსაღი ცხოვრება

25 Ზოოპარკი

29 Თბილისი

33 Ისტორია – ქართული ანბანის ისტორია

37 Კაფეში

41 Ლარი – ქართული ფული

45 Მსოფლიო და მოგზაური

49 Ნავსადგური

53 Ოჯახი და ნათესავები

57 Პროდუქტი სუპერმარკეტში

61 Ჟირაფი ჟოზე და მისი მეგობრები

65 Რიცხვების სამყაროში

69 Სახლი

73 ტანსაცმელი

77 უთვალავი ვარსკვლავი

81 ფერები

85 ქალაქში

89 ღვინო. ღვინის სამშობლო

93 ყვავილები

97 შინაური ცხოველები

101 ჩანთა და სასკოლო ნივთები

105 ცეკვა

109 ძალოსნობა და სპორტი

113 წიგნი

117 ჭამა-სმა

121 ხასიათი

125 ჯომარდობა

129 ჰიმნი

Ორდადეგები. Აეროპორტი

– გამარჯობა!
– როგორ ხართ?
– გმადლობთ, კარგად.
– კეთილი მგზავრობა!..
– ბედნიერი მგზავრობა...
– როგორ იმგზავრეთ?
– ძალიან კარგად.

– მომენატრეთ!
– რა კარგია თქვენთან...
– გაიცანი, ეს ანაა! – სასიამოვნოა!
– მიხარია თქვენი ნახვა!
– გაიცანი, ეს ჩემი ნათესავია!
– ძალიან სასიამოვნოა!

– გამარჯობა, რა გქვია?
– მე მქვია ანა. შენ რა გქვია?
– მე ვარ ანრი.
– რამდენი წლის ხარ?
– მე ვარ ათი წლის.
– შენ?
– მე ვარ თორმეტი წლის.
– სად ცხოვრობ?
– მე ვცხოვრობ ამერიკაში.
  მე არდადეგები მაქვს.
– მაპატიეთ, უნდა წავიდე.
– ნახვამდის!



ავტობუსი



აქლემი

ავტომობილი

აუზი



აკვარიუმი

არწივი

ატამი

ალუბალი



ანი და ანრი არდადეგებს აგარაკზე ატარებენ.
აგარაკზე არის აუზი. აუზთან ათი ბავშვია.

სავარჯიშო

იპოვეთ სიტყვებში ასო ა:
ტაქსი, ბარგი, მგზავრი, ჩემოდანი, მეგობარი, თვითმფრინავი.

იპოვეთ ა-ზე დაწყებული სიტყვები:
ანბანი, პასპორტი, ატამი, ბილეთი, ხელბარგი, ალუბალი, გასასვლელი.

დათვალეთ სიტყვებში ასო ა:
აქლემი, აკვარიუმი, ატამი, ნაცნობი, თვითმფრინავი, ანბანი, არდადეგები, ავტობუსი.

ბუნება. ბოტანიკური ბაღი



- ეს არის ბოტანიკური ბაღი.
- ბოტანიკური ბაღი ძალიან ლამაზია.
- ბოტანიკურ ბაღში ბევრი მცენარეა.
- ბათუმის ბოტანიკური ბაღი დაარსდა 1892 წელს.





- ეს არის ტყე.
- აი ბამბუკი.
- აი მუხა.
- აი ყვავილი.
- აი მაგნოლია.

- ბექას უყვარს ბუნება.
- ის ბათუმში ისვენებს.
- ბათუმში ბევრი ბაღია.
- ბექას ძალიან უყვარს ბოტანიკური ბაღი.
- ბოტანიკურ ბაღში ბევრი ხე და ბუჩქია.




ბ
ბუდე
ბალახი
ბაყაყი
ბუშტი
ბამბუკი
ბაღი
ბადე
ბიჭი
ბურთი
ბალიში
ბავშვი
ბორბალი



ბებიამ და ბაბუამ ბექა ბოტანიკურ ბაღში წაიყვანეს.

ბაღი ბათუმთან ახლოს არის. ბექამ და ბაბუამ ბურთით ითამაშეს.

ბებიამ ბექას ბამბის ნაყინი უყიდა.

ბაღში ბავშვებს ბუშტები დაურიგეს.

სავარჯიშო

იპოვეთ სიტყვებში ასო ბ:

ბაღი, ბამბა, ბებია, ბაბუა, ბელი.

იპოვეთ ბ-ზე დაწყებული სიტყვები:

მინდორი, ბავშვი, ყვავილი, ბუნება, გოგო, ბაღი, ბამბა.

დათვალეთ სიტყვებში ასო ბ:

ბაობაბი, ობობა, ბუ, აბი, ბუდე, ბამბუკი.

გარეგნობა; სხეულის ნაწილები

- აი თავი.
- აი წარბი.
- აი თვალი.
- ეს ცხვირია.
- აი ქერა გოგო.
- ეს გოგო მაღალი და მსუქანია.
- ის ბიჭი დაბალი და გამხდარია.

– გიოს **რა ფერის** თვალები აქვს?
– გიოს **მწვანე** თვალები აქვს.

– გეგის **როგორი** თმა აქვს?
– გეგის **მოკლე** თმა აქვს.



გვანცა **ლამაზი** გოგოა. მას აქვს ქერა **სწორი** და **გრძელი** თმა.
გვანცას აქვს **მრგვალი** სახე, შავი თვალები,
პატარა ცხვირი. ის მაღალი და გამხდარია.
გიგი არის მაღალი და მსუქანი. მას აქვს **შავი ხუჭუჭი** თმა,
მწვანე თვალები, **კეხიანი** ცხვირი.

გ

გვირილა

გოგო



გველი



გორილა

გოგრა

გზა

გოჭი

გუბე



გემი



გედი

გიტარა

გასაღები





გიორგი და **გ**ვანცა
მეგობრები არიან.
გიორგი მაღალი ბიჭია.
მას აქვს შავი თვალები
და ქერა თმა.
გიორგის აქვს პატარა
კეხიანი ცხვირი.
გვანცა დაბალი **გ**ოგოა.
მას აქვს **გ**რძელი წითური თმა.
გვანცას აქვს მწვანე ლამაზი
თვალები და პატარა სწორი
ცხვირი.

სავარჯიშო

იპოვეთ სიტყვებში ასო გ:
აგარაკი, გუნდა, გზა, გვირაბი, რაგბი, გუნდაობა, გრიგალი, გამარჯობა.

იპოვეთ გ-ზე დაწყებული სიტყვები:
ბიჭი, გოგო, მტრედი, გვირილა, წითური, გიტარა, გორილა, ანბანი.

დათვალეთ სიტყვებში ასო გ:
გოგლიმოგლი, განდაგანა, აგური, გენიოსი, გრიგალი, გამზირი, გენაცვალე, გუგული.

დაბადების დღე



- დღეს ჩემი დაბადების დღეა.
- გილოცავ დაბადების დღეს!
- ბევრი სტუმარი მოვიდა. მეგობრები მესტუმრნენ.

- დედამ ტორტი გამოაცხო.
- ტორტზე სანთლებია.
- სანთლები ავანთეთ.
- მე სანთლები ჩავაქრე.
- დედამ და მამამ დაბადების დღე მომილოცეს. უკვე დიდი ვარ.

რა ლამაზი დღეა,
რა ნათელი მზეა,
იმიტომ რომ დღეს
_____
დაბადების დღეა.



დღეს **დ**ოდონას **დ**აბადების **დ**ღეა. **დ**ოდონა პატარა გოგოა. **დ**ედამ **დ**ოდონას ტორტი გამოუცხო. **დ**ოდონას მეგობრები ესტუმრნენ საჩუქრებით. **დ**ოდონამ და ბავშვებმა ბევრი იმხიარულეს. **დ**ოდონა ძალიან ბედნიერია.

სავარჯიშო

იპოვეთ სიტყვებში ასო დ:
დელფინი, დაბადების დღე, დესერტი, მაგიდა, დიპლომი, დიასახლისი, მდინარე, მონადირე.

იპოვეთ დ-ზე დაწყებული სიტყვები:
დაფა, მეგობარი, დაფნა, გუშინ, და, დღე, გემი, დღესასწაული, ტორტი, საჩუქარი.

დათვალეთ სიტყვებში ასო დ:
დიდედა, დედა, მამიდა, დეიდაშვილი, მამიდაშვილი, დედამიწა, დარდი, გედი.

ექიმთან

- ვირუსი მაქვს.
- სიცხე არ მაქვს.
- ყელი მტკივა.
- სურდო მაქვს.
- მაცემინებს.
- მახველებს.
- თავი მტკივა.

- მე ავად ვარ.
- ექიმი მჭირდება.
- ექიმთან მივდივართ.
- ექიმმა გამსინჯა.
- ექიმმა წამლები გამომიწერა.
- წამლები აფთიაქში ვიყიდეთ.

- რა გაწუხებს ?
- ვირუსი მაქვს, მახველებს და ყელი მტკივა!
- გაციების ჩაი დალიე. აფთიაქში იყიდე.
- მალე გამოჯანმრთელებას გისურვებ!..
- გმადლობ, შენც ჯანმრთელობას გისურვებ!..


ე
ენძელა
ეშვი
ენოტი
ეკალი
ენა
ევკალიპტი
ერთი
ექიმი
ექვსი
ეზო
ეტლი



„ეს საწყალი კურდღელი
ძლიერ ავად გაგვიხდა.
არც სტაფილო ეამა,
ჩამოდნა და გაგვიხდა.
მოვიწვიეთ ექიმად,
არჩილი და ხათუნა,
ოფლი მოადინეთო,
დაარიგეს დათუნა“.

მაყვალა მრევლიშვილი

საბავშვო სიმღერა
https://www.youtube.com/watch?v=qRIGLvDpHs0

სავარჯიშო

იპოვეთ სიტყვებში ასო ე:
სიცხე, რეცეპტი, ექიმი, ეკრანი, ენძელა, დელფინი, თერმომეტრი, ჯანმრთელი, ხველა.

იპოვეთ ე-ზე დაწყებული სიტყვები:
ენოტი, წამალი, ექთანი, სიცხე, ენძელა, ეზო, ელვა, აგარაკი, ეს.

დათვალეთ სიტყვებში ასო ე:
ტემპერატურა, თერმომეტრი, თერთმეტი, ექო, ემოცია, ელემენტი, ტელევიზორი.

ვარჯიში; ჯანსაღი ცხოვრება



- ვატო დარბაზში ვარჯიშობს.
- ვერიკო ველოსიპედით დადის.
- ვაჩე კარგად თამაშობს ფეხბურთს.
- ვერიკო კარგად ცურავს.

- მე მივდივარ სავარჯიშოდ.
- მე მიყვარს სარბენ ბილიკზე ვარჯიში.
- მე და ვაჩე ერთად ვთამაშობთ ფეხბურთს.
- ჩვენ ფეხბურთს სტადიონზე ვთამაშობთ.

ვახო: მე და ვერიკო სპორტულ დარბაზში ვვარჯიშობთ.
ვერიკო: მე ძალიან მომწონს ველოსიპედის ტარება.
ვაჩე: მეც ვვარჯიშობ დარბაზში.
ვატო: მე სტადიონზე ფეხბურთს ვთამაშობ და დავრბივარ.
ვანო: მეც მიყვარს სპორტი.
ვასო: მე ფიგურულ სრიალზე დავდივარ.

ვ

ვაშლი

ვაზი

ვარსკვლავი

ვეშაპი

ვეფხვი



ვირი



ვიოლინო

ვერტმფრენი

ვულკანი

ვარდი

ველოსიპედი

ბაღში ვაშლის ხე და ვარდის ბუჩქი დგას.
ვერიკო ვიოლინოზე უკრავს. ვანომ ვერიკოს ვარდი მიართვა.
ვერიკომ და ვანომ ველოსიპედით გაისეირნეს.

სავარჯიშო

იპოვეთ სიტყვებში ასო ვ:

სავარცხელი, ავტობუსი, ვაფლი, თავი, აივანი, თვალი, კვამლი, დათვი, ზვავი.

იპოვეთ ვ-ზე დაწყებული სიტყვები:

ბაღი, ვერტმფრენი, ქოლგა, გული, ვირი, ნავი, ვეშაპი, ვენახი, კალამი, გოგო.

დათვალეთ სიტყვებში ასო ვ:

ვვარჯიშობ, მივრბივარ, ვშიშობ, ვხატავ, ვივიენი, ვარსკვლავი, ვეფხვი, ვარდი.

ზოოპარკი

- ეს არის ზოოპარკი.
- ზოოპარკში ცხოველები და ფრინველები არიან.
- ცხოველები ვოლიერებში ცხოვრობენ.
- ცხოველებთან ახლოს მისვლა არ შეიძლება!
- ფრინველები გალიებში არიან.

- სალაროში ბილეთები იყიდება.
- მნახველები ვოლიერებთან დგანან.
- დათვი დაბაჯბაჯებს.
- ლომი ღრიალებს.
- მაიმუნი ბანანს ჭამს.
- თუთიყუშები დაფრინავენ.
- სპილო ხორთუმით წყალს სვამს.
- აქლემს კუზი აქვს.
- ბეჰემოთი აუზშია.



ლიზა და ზაზა ზოოპარკში არიან. ლიზას ფრინველები უყვარს, ზაზას კი – ცხოველები.

– ზაზა, რომელი ცხოველი ნახე ზოოპარკში?

– ყველა ცხოველი ვნახე; ზებრა ძალიან მომეწონა.

– ფარშავანგი მაინც ყველაზე ლამაზია, – თქვა ლიზამ.

ზ

ზვიგენი

ზამთარი

ზაფხული

ზებრა

ზეთისხილი

ზურგჩანთა

ზღვა

ზაზუნა



ზარი

ზოოპარკი

ზღარბი



- **ზოოპარკში ზებრა ზუზუ და ზაზუნა ზოზო ცხოვრობენ.**
- **ეს ზღარბი ზიზის გალიაა.**
- **ისინი მეზობლები არიან.**
- **ზებრას ზოლები და გრძელი კუდი აქვს.**
- **ზღარბს ეკლები აქვს.**
- **ზოოპარკში ზეზვას ზებრა ზუზუ მოეწონა.**
- **ლიზას სახლში თეთრი ზაზუნა ჰყავს.**

სავარჯიშო

იპოვეთ სიტყვებში ასო ზ:

მაღაზია, ბუზი, მზე, ბზა, აბზაცი, გზა, ბზიკი, ნიგოზი, გოზინაყი, საზღვარი.

იპოვეთეთ ზ-ზე დაწყებული სიტყვები:

კოვზი, ზებრა, კუზი, ზვინი, ბზრიალა, ზაზუნა, გაზეთი, ზღაპარი, გაზაფხული, ზაფხული.

დათვალეთ სიტყვებში ასო ზ:

ზაზუნა, ზეთისხილი, გაზაფხული, ბზიკი, საზღვარი, ზღარბი, გზა, მაღაზია, ბუზი, მეზობელი.

თბილისი



- თბილისი საქართველოს დედაქალაქია.
- ნარიყალას ციხე ძველ თბილისშია.
- თბილისში მოედინება მდინარე მტკვარი.
- ქალაქში არის ბევრი დასასვენებელი პარკი.



- მე ვცხოვრობ თბილისში.
- მე მიყვარს სეირნობა ძველი თბილისის ქუჩებში.
- მთაწმინდიდან მთელი თბილისი ჩანს.
- მთაწმინდაზე არის ფუნიკულიორი და „ბომბორას პარკი“.



ლეგენდა თბილისზე

თბილისი დააარსა მეფე ვახტანგ გორგასალმა. ერთხელ მეფე სანადიროდ წავიდა. ნადირობისას მისი მიმინო ხოხობს გაეკიდა და ორივე ცხელ წყალში ჩავარდა. მეფეს ეს ადგილი ძალიან მოეწონა და აქ ქალაქის გაშენება გადაწყვიტა. თბილი წყაროების გამო მეფემ ქალაქს თბილისი უწოდა. გოგირდის ცხელი წყაროები თბილისში დღესაც არის.

თ

თავი

თხილი

12

თუთიყუში

თუთა

თორმეტი

თვითმფრინავი

თოჯინა

თითი

11



თმა

თერთმეტი

თაგვი

თოკი

თვალი



თეატრი

თევზი

თივა

თხა



თოვს. **თ**აგვი **თ**ომა ზამთრისთვის უკვე მოემზადა.
მან **თ**ორმეტი **თ**ხილი მოაგროვა. **თ**აგვ **თ**ომასთან სტუმრად **თ**რითინა
თოთია მოვიდა. **თ**ოთიამ **თ**ომას **თ**ერთმეტი **თ**ხილი მოუტანა.
თრითინა **თ**ოთია და **თ**აგვი **თ**ომა **თ**ხილს ერთად მიირთმევენ.

სავარჯიშო

იპოვეთ სიტყვებში ასო თ:

თასი, თითი, თვალი, თასმა, თაიგული, თუთა, თმა, თედო, თრითინა, თარო, თუთიყუში.

იპოვეთ თ-ზე დაწყებული სიტყვები:

მთა, თბილისი, ათი, ანძა, თათი, თევზი, ნავი, თაფლი, თოჯინა, თავსაფარი, თასმა, თასი, თეფში.

დათვალეთ სიტყვებში ასო თ:

თითი, თმა, თავი, თხა, თივა, თევზი, თუთა, თათი, თაფლი, თოვლი.

ისტორია – ქართული ანბანის ისტორია

- ქართული ანბანი.
- ქართულ ანბანში 33 ასოა.
- ქართულ ანბანში არის ხუთი ხმოვანი.
- ქართულ ანბანში არის ოცდარვა თანხმოვანი.
- ქართული ანბანი შექმნა მეფე ფარნავაზმა.

- „დედა ენა“ იაკობ გოგებაშვილის წიგნია.
- ქართველი ბავშვები ანბანს დედა ენით სწავლობდნენ.
- არსებობს ქართული ანბანის სამი სახეობა.
- პირველად იყო ასომთავრული დამწერლობა, შემდეგ – ნუსხური, ახლა გვაქვს მხედრული.



ია და ირაკლი ქართულ ანბანს სწავლობენ. ქართული ასოები ლამაზია. ირაკლი სწავლობს ხმოვნების წერას. ია სწავლობს კითხვას. ია და ირაკლი მალე შეძლებენ ქართულად წერასა და კითხვას.

ი



ირემი

იანვარი

იადონი

ისარი

იასამანი

ივლისი

ივნისი



იხვი

ია



ინდაური

იალქანი

იუპიტერი

„აი ია“



იმერეთი



ირინა და ირაკლი
ინგლისში ცხოვრობენ.
ირინა ისტორიკოსია,
ირაკლი იურისტია.
ირინა ქართული
ანბანის ისტორიას
სწავლობს;
ირაკლის საქართველოს
ისტორია აინტერესებს.
ისინი ივნისში
თბილისში იყვნენ.
ირინამ და ირაკლიმ
მოინახულეს თბილისის
ისტორიული ადგილები.

სავარჯიშო

იპოვეთ სიტყვებში ასო ი:

ანბანი, რვეული, კალამი, ია, იალქანი, იგავი, იმედი, იასამნისფერი, ინგლისი, იაპონია, ირლანდია, ინტერნეტი.

იპოვეთ ი-ზე დაწყებული სიტყვები:

ირემი, ცა, ისარი, იალქანი, ანბანი, ძეგლი, იუბილარი, იოგურტი.

დათვალეთ სიტყვებში ასო ი:

ია, ივნისი, ივლისი, იანვარი, ირემი, ინდაური, იხვი, იადონი.

კაფეში

- აქ კაფეა.
- კაფეს დიდი დარბაზი აქვს.
- დარბაზში დგას მაგიდები და სკამები.
- მაგიდაზე ჭურჭელია: თეფში, ჭიქა, დანა და ჩანგალი.
- მიმტანს მოაქვს მენიუ.

- მე ვჭამ ხაჭაპურს.
- ის სვამს კომშის წვენს.
- კატო მიირთმევს ნაყინს და კოკა-კოლას.
- კეკე ჭამს ნამცხვარს.
- კოკა სვამს ლიმონათს.

კატო და კოტე კაფეში შევიდნენ. კატომ მენიუ მოითხოვა. მიმტანმა მენიუ მაგიდაზე დადო. კატომ კენკრის ნაყინი აირჩია, კოტემ — კივის წვენი. ბავშვებმა გემრიელად მიირთვეს.

3
კივი
კაკალი
კარალიოკი
კიბე
კატა
კაბა
კნუტი
კოღო
კიტრი
კოალა
კოდალა
კალამი
კურდღელი
კამეჩი
კენგურუ
კონვერტი
კვერცხი
კალათა
კოვზი
კომპიუტერი
კაქტუსი
კარტოფილი
კარი



კოდალა **კ**აკუმ ტყეში **კ**აფე გახსნა. **კ**აკუ არ ისვენებს – დილიდან აკაკუნებს და აკაკუნებს. **კ**აკუნის ხმაზე **კ**ვერნა მოვიდა, **კ**ვერნას **კ**ატა მოჰყვა, **კ**ატას – **კ**ოალა, **კ**ოალას – **კ**ენგურუ, **კ**ენგურუს – **კ**ურდღელი.

– რას აკაკუნებ დილიდან, **კოდალა? – ჰკითხა **კ**ვერნამ.**

– მენიუს ვწერ, – უპასუხა **კოდალამ.**

– ჩვენ რომ **კითხვა არ ვიცით?**

– დროა, ისწავლოთ **კითხვა.**

სავარჯიშო

იპოვეთ სიტყვებში ასო კ:

კნუტი, კაკუნი, კოდალა, კარი, კვადრატი, კვერნა, კოალა, კენკრა, სკამი, კაკალი.

იპოვეთ კ-ზე დაწყებული სიტყვები:

კვერნა, კამეჩი, სკამი, კაბა, ჩაი, კვერცხი, წყალი, კიტრი, კუ, კოღო კენგურუ, მაგიდა, კოდალა.

დათვალეთ სიტყვებში ასო კ:

კატა, კნუტი, კენგურუ, კამეჩი, კუ, კოალა, კოდალა, კიტრი, კიბე, კივი, კაკალი, კვერცხი, კაბა.

ლარი – ქართული ფული

საქართველოს ეროვნული ვალუტა



- ლარი ქართული ფულია.
- ლარი საქართველოს ეროვნული ვალუტაა.
- ლარი ქაღალდის ბანკნოტია.
- თეთრი რკინის მონეტაა.
- საფულეში ფული დევს.
- ყულაბაში ფულს აგროვებენ.

- ლიზა ყულაბაში ფულს აგროვებს.
- ლევანმა სალაროში 100 ლარი გადაიხადა.
- ლადომ და ლილემ ლუკას საჩუქარი უყიდეს.



- დედამ ლილეს ლამაზი ჩანთა უყიდა, ლევანს კი – ლამაზი მაისური.
- ლილე და ლევანი სკოლის სასადილოში სადილობენ.
- ლილემ ლობიანი იყიდა, ლევანმა – ლაღიძის ლიმონათი.

ლიმონი

ლაღიძის ლიმონათი



ლეღვი

ლომი



ლანგარი

ლამბაქი

ლეკვი



ლობიანი

ლარნაკი



ლურჯი ცა

ლეოპარდი

ლობიო

ლოკოკინა

ლოდი

ლავა

ლერწამი

ლამპარი



ლაბირინთი



სოფელში პატარა ნაკადული მოლიკლიკებს. ნაკადულთან ახლოს ლეღვის ხე დგას. ლეღვის ხეზე ნელ-ნელა მიცოცავს ლოკოკინა. იქვე ლელას ლეკვი დარბის და ლოკოკინას უყეფს.

სავარჯიშო

იპოვეთ ასო ლ:
სოფელი, ლიმონი, ნაკადული, ლომი, ლეოპარდი, ლეკვი, მატარებელი, საქანელა, ბორბალი.

მოძებნეთ ლ-ზე დაწყებული სიტყვები:
საფულე, სალარო, ლეღვი, ყულაბა ლოკოკინა, ლანგარი, ლურჯი, სკოლა, ლეოპარდი, სასადილო.

გამოიცანით:
მეციხოვნე ერთი ციდა, თავის მხრებით კოშკსა ზიდავს. /ლოკოკინა/

მსოფლიო და მოგზაური

- მე მიყვარს მოგზაურობა.
- მე ხშირად ვმოგზაურობ.
- მე მაქვს მოგზაურის ზურგჩანთა.

- მირიანი და მაშო მატარებლით მოგზაურობენ.
- მერის და მიშიკოს მანქანით მოგზაურობა მოსწონთ.
- მანანა და მათე მთაში სალაშქროდ მიდიან.

მეგობრები, მაია და მარიამი, საქართველოში მოგზაურობენ. ისინი მანქანით მარტვილში ჩავიდნენ. მარტვილის კანიონში ნავით გაისეირნეს. მეორე დღეს მესტიისკენ გაემგზავრნენ. მაია მაღალმა მთებმა გააოცა, მარიამი კი – სვანურმა კოშკებმა.

მ



მაკრატელი

მარაო

მერცხალი

მთვარე



მზე

მარწყვი

მამალი

მზესუმზირა











მაია, მაშო და მათე მოგზაურები არიან. მათ ძალიან უყვართ მთაში სიარული. დილით მთის მწვერვალზე ადიან და მზის ამოსვლას უყურებენ. ზოგჯერ მდინარეზე მიდიან და თევზაობენ.

სავარჯიშო

იპოვეთ სიტყვებში ასო მ:

ექიმი, მაიმუნი, სამი, მორი, ამბავი, მოკრივე, მილიონი, გერმანია, მამალი, მუსიკა, მზესუმზირა, მარილი, მერცხალი, საზამთრო, მსხალი.

მოძებნეთ მ-ზე დაწყებული სიტყვები:

მამალი, მონეტა, კოცონი, მერცხალი, მდინარე, ნიანგი, მანქანა, მებაღე, მამიდა, კოშკი, სიმინდი, მოცვი, მუხა, მეხი, მიმინო.

გამოიცანით:

ერთი პატარა მანანა ხან გაიცინებს, ხან არა.
/ციცინათელა/

წაიკითხეთ:

მზე დედაა ჩემი,
მთვარე – მამა ჩემი;
ეს წვრილ-წვრილი
ვარსკვლავები
და და ძმაა ჩემი.

ხალხური ლექსი

ნავსადგური

- აი ნავსადგური.
- ნავსადგურში გემებია.
- გემს კაპიტანი მართავს.
- ამ ლურჯ გემს გადააქვს ტვირთი.
- იმ თეთრი გემით ხალხი მგზავრობს.
- იმ მწვანე გემით თევზს იჭერენ.



აი ნავი.

ნავი ზღვაში მიცურავს.

მენავე ნიჩბებს უსვამს.

მეთევზე ანკესით თევზაობს.

ნოდარი ფოთის ნავსადგურში მუშაობს.
ის გემის კაპიტანია. მისი გემი დღეს სოხუმისკენ მიცურავს.
გემზე ბევრი ხალხია. ღუზა უკვე ამოსწიეს.

ნ

ნიღაბი

ნარცისი



ნემსიყლაპია



ნარინჯისფერი

ნოტი

ნიგოზი

ნიკაპი



ნაკადული

ნაძვი



ნიანგი

ნიორი

ნალი

ნაყინი

ნამცხვარი



ნათურა



ნაბადი

ნესვი



საქართველოში 4 ნავსადგურია. აქედან ფოთის ნავსადგური ყველაზე დიდია; სულ 15 ნავმისადგომია. ფოთის ნავსადგურში არის ბევრი გემი, ამწე, ბორანი, იახტა და ნავი. ფოთის ნავსადგურში გემებს სხვადასხვა ტვირთი შემოაქვს.

სავარჯიშო

იპოვეთ სიტყვებში ასო ნ:
პიანინო, პლასტელინი, ჟუჟუნა, სინათლე, ასანთი, ნაბადი ონკანი, მელანი, დელფინი, პინგვინი, ნავი, ნიორი, ენძელა, ანძა.

მოძებნეთ ნ-ზე დაწყებული სიტყვები:
ნამცხვარი, ინდაური, ნავი, ანბანი, ნიგოზი, ნაზი, კალამი, ნიჩაბი, კუნძული, ნადირი, ნატურმორტი, მეხანძრე.

დათვალეთ სიტყვებში ასო ნ:
ნიანგი, ნიორი, ონავარი, ნემსიყლაპია, ნოხი, ბანი, ნალი, ნატახტარი, ონკანი, ნარინჯისფერი, ნაძვი, ნიღაბი.

წაიკითხეთ წინადადება:
ნიკო და ნინო კიბეზე ნელ-ნელა ადიან.

ოჯახი და ნათესავები

- ეს ჩემი ოჯახია.
- მე ომარი ვარ.
- მე მყავს და და ძმა.
- მე მყავს ბებია და ბაბუა.
- ჩემი ოჯახი თბილისში ცხოვრობს.
- ბებია და ბაბუა სოფელში ცხოვრობენ.

- ჩემი ოჯახი დიდია.
- მე უფროსი შვილი ვარ.
- ჩემი ძმა ჩემზე პატარაა.
- ჩემი დები უმცროსები არიან.
- დედა მასწავლებელია.
- მამა ექიმია.
- ბებია მზარეულია.
- ბაბუა მეეზოვეა.

– შენ დიდი ოჯახი გყავს თუ პატარა?
– მე დიდი ოჯახი მყავს.
– რამდენი წევრია თქვენს ოჯახში?
– ჩვენს ოჯახში შვიდი წევრია.
– ჩამოთვალე შენი ოჯახის წევრები.
– მე მყავს დედა, მამა, ძმა, ორი და, ბებია და ბაბუა.

ორანგუტანი

ოფოფი



ორაგული

ონკანი

ოთხი

ოთხკუთხედი

ობობა

ოთახი

ოცი



ორცხობილა

ორი

ოქრო

ოცდაათი



ეს ჩემი ოჯახის ფოტოა. მე ომიკო ვარ. დედის წინ ვდგავარ. ჩემი ძმა, ოთო, მამის გვერდით დგას. ჩვენ ორი და გვყავს – ოლიკო და სოფო. ოლიკო ბებიასთან ზის, სოფო – ბაბუასთან. უკან ჩვენი სახლი ჩანს; მარჯვნივ ჩემი ძაღლია, მარცხნივ კი ოთოს კატაა.

სავარჯიშო

იპოვეთ სიტყვებში ასო ო:

ბეჰემოთი, ლომი, ღომი, კომში, ქორი, გოჭი, უთო, ბებო, გოგო, თოვლი, ოქრო, ოცნება, ოკეანე, ჩოჩორი.

მოძებნეთ ო-ზე დაწყებული სიტყვები:

ოქრო, ობობა, გოგრა, ოფოფი, ოხრახუში, ოქტომბერი, თოჯინა, ოჯახი, ორთქლი, კოვზი, ოკეანე, ორშაბათი, პიანინო, რობოტი.

წაიკითხე ლექსი:

ობობა

ცისფერ ფიფქებს
განა
ანდა
ფიც
ქსელს ამზადებს
ირგვლივ ისე შემოფინა,
ეს
რა ყოფილა
ეს ობობა,
მთელი ეზო
შემოღობა!
რა
ბუზიც
ობ
ო
ძ,
მთელი ეზოშემოღობა.
ვეღარ შემოფრინდა!
ვასილ
გულეური
აგიხ სანათ,
თქვენც ხომ იცით.
იმისთანას, ვერც ხერხი ჭრის
და ვერც დანა...

პროდუქტი სუპერმარკეტში

- სუპერმარკეტში ბევრი პროდუქტია.
- აი მწვანე ჩაი.
- მარილი მლაშეა.
- შაქარი ტკბილია.
- წიწაკა მწარეა.
- ლიმონი მჟავეა.



ეს დიდი სუპერმარკეტია. აქ ყველაფერი იყიდება:
ხილი, ბოსტნეული, ხორცი, რძის ნაწარმი.
დილით ახალი ბოსტნეული და ხილი მოიტანეს.

პაპუნა და პავლე მაღაზიაში არიან. პაპუნამ ვაშლი, ყურძენი და მაწონი იყიდა. პავლემ ნამცხვარი, შოკოლადი და ნაყინი შეიძინა.

პ



პეპელა

პინგვინი

პომიდორი



პური

პირბადე

პალმა

პარაშუტი

პირსახოცი

პილპილი

პიჯაკი

პოლიცია



პირამიდა

პანდა

პიანინო



პაპა და პეტრე ყოველ პარასკევს სუპერმარკეტში პროდუქტს ყიდულობენ. დღეს პარასკევია. სუპერმარკეტი რუსთაველის პროსპექტზეა. პაპა ჯანსაღ პროდუქტს ყიდულობს. პეტრე ტკბილეულს ირჩევს. პროდუქტს სხვადასხვა ფასი აქვს – პური იაფია, ტკბილეული ძვირია. შენც შეიძინე პროდუქტი სუპერმარკეტში და გვითხარი, რამდენი გადაიხადე.

სავარჯიშო

იპოვეთ სიტყვებში ასო პ:

პინგვინი, პაპა, იპოდრომი, საპონი, პაიკი, პაპირუსი, პაციენტი, პროდუქტი, პალმა.

იპოვეთ პ-ზე დაწყებული სიტყვები:

აეროპორტი, პანდა, ალპინისტი, პილპილი, საპონი, საკვები, პარასკევი, პლასტმასი, პირველი, მანქანა, აპრილი, პასკა, პაუზა, პატარა.

დათვალეთ სიტყვებში ასო პ:

პეპელა, პიცა, პალმა, ნეპტუნი, პლანეტა, პანტერა, აპარატი, პაპირუსი, პარტერი, პედიატრი, პრიზი, პენალტი.

ანდაზა:

პური მეპურეს გამოაცხობინე და ერთი მას მიეციო.

ჟირაფი ჟოზე და მისი მეგობრები

ნახეთ: ჟირაფი ჟოზე – მეგობრები (სეზონი 1 /სერია 3)



- ზოოპარკში ჟირაფი ვნახეთ.
- ჟირაფს გრძელი კისერი აქვს.
- ჟირაფს ყავისფერი ლაქები აქვს.
- ჟირაფი ჭამს ხის ფოთლებს.
- ჟირაფები აფრიკაში ცხოვრობენ.

- „ჟირაფი ჟოზე“ ქართული ანიმაციური სერიალია.
- ჟოზე ცნობილი ჟირაფია.
- ჟოზეს მეგობარ ჟირაფს ჟოზეფინა ჰქვია.
- მე ვუსმენ ჟირაფი ჟოზეს გაკვეთილებს.
- ბავშვებს მოსწონთ ჟირაფი ჟოზეს სიმღერები.



ჟოზე და ჟოზეფინა ცნობილი ჟირაფები არიან. ბავშვებს ძალიან უყვართ ჟირაფი ჟოზეს გაკვეთილები. ჟანამ ჟოზესთან და ჟოზეფინასთან ერთად ისწავლა ანბანი, მათემატიკა, ფერები, წელიწადის დროები. ჟოზეს გაკვეთილებს საქართველოში ბევრი ბავშვი უყურებს.

ჟ

ჟაკეტი

ჟილეტი

ჟეტონი

ჟალუზი

ჟოლო

ჟურნალი

ჟურნალისტი



ჟირაფი

ჟონგლიორი

ჟანა ჟირაფი ჟოზეს ანიმაციურ ფილმს უყურებს. ჟოზე და ჟოზეფინა ბავშვების საყვარელი ჟირაფები არიან. პატარები ეკრანებთან ჟოზეს და ჟოზეფინას ჟრიამულით ეგებებიან. ისინი საყვარელ ჟირაფებთან ერთად თამაშობენ და სწავლობენ. ჟოზეფინამ ჟელატინითა და ჟოლოთი გემრიელი ჟელე მოამზადა. ჟოზემ ჟანას ჟონგლიორობა ასწავლა. ბავშვები ჟირაფი ჟოზეს შესახებ ჟურნალებსა და წიგნებსაც კითხულობენ.



ქართული ხალხური ლექსი და სიმღერა:

ჟუჟუნა წვიმა მოვიდა,
დიდი მინდორი დანამა,
ყვავილმა მუხლი იყარა,
ფერი იცვალა ყანამა.
მალე პურებიც შემოვა,
იხაროს გლეხის ძალამა,
ბნელი გააპოს ნათელმა,
ბოროტი გული – დანამა.

სავარჯიშო

იპოვეთ სიტყვებში ასო ჟ:

ჟოლო, არაჟანი, ჟრიამული, ბაჟე, ჟანგი, ჟელე, ვაჟკაცი, კაჟი, მასაჟი, ლოჟა, მანეჟი, მრავალჟამიერი.

იპოვეთ ჟ-ზე დაწყებული სიტყვები:

ფერი, ჟალუზი, ჟილეტი, ეკრანი, ჟირაფი, ჟრიამული, დედამიწა, ჟელე.

დათვალეთ სიტყვებში ასო ჟ:

ჟელატინი, ჟონგლიორი, ჟურნალისტი, ჟუჟუნა, ჟეტონი, დირიჟორი, ჟრიამული.

რიცხვების სამყაროში

0 ნული
1 ერთი
2 ორი
3 სამი
4 ოთხი
5 ხუთი
6 ექვსი
7 შვიდი
8 რვა
9 ცხრა

11 თერთმეტი
13 ცამეტი
15 თხუთმეტი
16 თექვსმეტი
18 თვრამეტი
20 ოცი

10 ათი
12 თორმეტი
14 თოთხმეტი
17 ჩვიდმეტი
19 ცხრამეტი

40 ორმოცი
60 სამოცი
80 ოთხმოცი

30 ოცდაათი
50 ორმოცდაათი
70 სამოცდაათი
90 ოთხმოცდაათი

100 ასი
1000 ათასი
1000000000 მილიარდი
1000000 მილიონი

ბევრი

რამდენიმე

ცოტა

მრავალი / უამრავი

- ქალაქში ერთი სტადიონია.
- ფეხბურთს ორი გუნდი თამაშობს.
- გუნდში თერთმეტი ფეხბურთელია.
- მოედანზე ოცდაორი ფეხბურთელი დგას.
- თამაშს ორი მსაჯი ჰყავს.

21 ოცდაერთი	22 ოცდაორი	23 ოცდასამი
24 ოცდაოთხი	25 ოცდახუთი	26 ოცდაექვსი
27 ოცდაშვიდი	28 ოცდარვა	29 ოცდაცხრა

- მე თეატრში მივდივარ.
- ჩემი ადგილი მეხუთე რიგშია, მეთორმეტე სკამზე.
- დარბაზში ცოტა მაყურებელია.
- სპექტაკლში ბევრი მსახიობი მონაწილეობს.

რამდენი? რომელი? რა? რატომ? როგორ? – ბევრი უნდა ვისწავლოთ, რომ ყველა კითხვას გავცეთ პასუხი.

რუკა



რძე

რუ











ტ

ტ

ტ



რეზო მერვე სკოლაში სწავლობს. მისი სკოლა ორსართულიანია. რეზოს საკლასო ოთახი მეორე სართულზეა. რეზოს რობოტიკის გაკვეთილები უყვარს. მან რობოტი ააწყო. რობოტს ოთხი ფეხი აქვს. რეზომ რობოტს რობო დაარქვა.

სავარჯიშო

იპოვეთ სიტყვებში ასო რ:
მერვე, რიცხვი, რობოტი, მეორე, მეცხრე, ბურთი, კარი, მწვრთნელი, როგორი.

იპოვეთ რ-ზე დაწყებული სიტყვები:
ბევრი, რუკა, უამრავი, რვაფეხა, რობოტი, მრავალი, რეზო, რებუსი, რეცეპტი, რიცხვი.

დათვალეთ სიტყვებში ასო რ:
ორსაფეხურიანი, გარგარი, მრავალსართულიანი, თეატრი, ფეხბურთი, რკო, რვეული.

ანდაზა:
როგორც ყველაფერი არ იჭმებაო, ისე ყველაფერი არ ითქმებაო.

სახლი



- ეს სახლი დიდია.
- სახლში ბევრი ოთახია.
- სახლში არის: სამზარეულო, მისაღები, ორი საძინებელი და ოთხი აივანი.
- სახლის სახურავზე საკვამურია.
- დერეფნიდან საძინებელ ოთახში შევდივარ.

- მე ვცხოვრობ კორპუსში.
- ჩემი ბინა დიდია.
- ბინა ხუთოთახიანია.
- სამზარეულოში სადილს ვამზადებ.
- სასადილო ოთახში ვსაუზმობთ, ვსადილობთ და ვვახშმობთ.
- ჩემს ოთახში კედელზე სურათი კიდია.



- ჩემს ოთახში ერთი საწოლი და ერთი კარადაა.
- საწოლი კარადის გვერდ**ით** დგას.
- საწოლ**თან** სანათია.
- ოთახში მაქვს საწერი მაგიდა.
- მაგიდა**ზე აწყვია** სასკოლო ნივთები.

სახლი

საქართველო

საწოლი

საყურე

სკა

სანთელი

სათამაშო

საზამთრო



სპილო (სპლიყვი)

სათვალე

სკამი

საათი

სოკო



სტაფილო

სირაქლემა

სიმინდი

საპონი

სარკე

წაიკითხეთ ლექსი:

სოფო და სოკო

მუხის ძირზე, ტყის კიდეში,
ამოსულა ერთი სოკო,
კალათით და წითელ ქუდით,
მას წაადგა თავზე სოფო.
დაიწუნა, არ მოკრიფა,
სოკოაო ძლიერ ცუდი,
გოგონასთვის მოუპარავს,
თურმე მას წითელი ქუდი.

მანანა ტონია

საბა და სოფო საქართველოში არიან. ისინი სოფელში ისვენებენ. სოფელში მათ დიდი სახლი აქვთ. სახლს აქვს პატარა ეზო. ეზოში დგას სამი სკა. ეზოს ბოლოში ბოსტანია. ბოსტანში საზამთრო, სტაფილო და სიმინდი იზრდება.

სავარჯიშო

იპოვეთ სიტყვებში ასო ს:
საათი, სახლი, სამზარეულო, ისარი, ნავსადგური, ისტორია, სამშობლო, სურამი, სანტიმეტრი, საქმელი.

იპოვეთ ს-ზე დაწყებული სიტყვები:
საწოლი, ნავსადგური, საფულე, თბილისი, სიო, სურათი, საბანი, სამეგრელო, ნემსი, სასახლე, სოფელი, კორპუსი, საღებავი, სორო.

დათვალეთ სიტყვებში ასო ს:
ისტორია, ისარი, სასახლე, სასმელი, სოფელი, სირაქლემა, საბანი, სასტუმრო.

ტანსაცმელი



- ეს მაღაზიაა.
- მაღაზიას კონსულტანტი ჰყავს.
- მაღაზიაში ქალის, კაცის და ბავშვის ტანსაცმელი იყიდება.
- ტანსაცმელი სხვადასხვა ზომის არის.
- ტანსაცმლის მაღაზიაში დედამ ტატოს ტყავის ხელთათმანები უყიდა.

- ტასოს დედა ექიმია; მას თეთრი ხალათი აცვია.
- მამა პოლიციელია და პოლიციელის ფორმა აცვია.
- ტასოს ბაბუა მეხანძრეა; მას მეხანძრის ფორმა აცვია და თავზე ჩაფხუტი ახურავს.
- ბებია მზარეულია; მას მზარეულის წინსაფარი უკეთია.

დიტომ იცის, როგორ მოაწესრიგოს ტანსაცმლის კარადა. მან მარჯვნივ დაალაგა მაისურები, მარცხნივ – შარვლები. უჯრაში ჩააწყო წინდები. ზედა თაროზე დააწყო ქუდი, კაშნე და ხელთათმანები. ფეხსაცმელები ქვედა თაროზე დააწყო. ახლა დიტოს კარადა მოწესრიგებულია.

ტირიფი

ტორტი

ტურისტი

ტანსაცმელი



ტიტა

ტაფა

ტელევიზორი

ტყუპები



ტივი

ტახი

ტაქსი

ტყემალი

ტრაქტორი

ტელეფონი



ტატო და ტასო ტყუპები არიან. მათ ტიტესთან ერთად ტყეში ლაშქრობა დაგეგმეს. ლაშქრობისას ტყის ნაპირთან ტბა ნახეს. ტბასთან ბევრი ტირიფის ხე იდგა. ტატომ, ტასომ და ტიტემ ტყეში ხმელი ტოტები შეაგროვეს და ტბასთან ცეცხლი დაანთეს.

სავარჯიშო

იპოვეთ სიტყვებში ასო ტ:
ტანსაცმელი, ტბა, ტალღა, ტირიფი, ტივი, ტურისტი, ფოტოგრაფი, ტყემალი, სტაფილო, რობოტი, ნახატი, მტკვარი.

იპოვეთ ტ-ზე დაწყებული სიტყვები:
ტბა, შარვალი, ტრანსპორტი, მაისური, ტაფა, ტაქსი, ქუდი, ტასო, თეატრი, ტელევიზორი, ავტობუსი, გიტარა, ტორტი, ტელეფონი.

დათვალეთ სიტყვებში ასო ტ:
ტატო, ტორტი, ტურისტი, ტელეფონი, ტიტა, ტყე, ნატახტარი, ტელევიზორი, ტკბილი, ვეტერინარი, ვერტმფრენი.

წაიკითხეთ სიტყვები:
ტორტი, ტურისტი, მტკვარი, ტიტა, ავტობუსი, ტოტი.

ანდაზა:
ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო.

უთვალავი ვარსკვლავი



- კოსმოსური ხომალდი კოსმოსში გაფრინდა.
- მზე უზარმაზარი ვარსკვლავია.
- მზის სისტემაში რვა პლანეტაა.
- კოსმოსიდან დედამიწა კარგად ჩანს.
- ტელესკოპით ვარსკვლავებს აკვირდებიან.



- ჩვენ დედამიწაზე ვცხოვრობთ.
- მე მინდა ასტრონავტი გავხდე.
- მე მინდა კოსმოსში გავფრინდე.
- მე მაქვს ტელესკოპი.
- ტელესკოპით ვარსკვლავებს ვაკვირდებით.
- მთვარე დედამიწის თანამგზავრია.

უჩა აბასთუმანში ისვენებს.
უჩას უყვარს ღამღამობით ვარსკვლავებიანი ცის ყურება.
– მთვარე დედამიწაზე დიდია? – ჰკითხა უჩამ მამას.
– არა, მთვარე დედამიწაზე პატარაა, – უპასუხა მამამ.
– მზე?
– მზე დედამიწაზე დიდია.

უ



ულვაში

უცხოპლანეტელი



URDULI

UNAGIRI



UREMI

UFROSI – UMCROSI

UJRA

URNA



UTO

UDABNO



UNABI



ეს თბილისის უნივერსიტეტია. უნივერსიტეტში ბევრი სტუდენტი სწავლობს. უჩა და უტაც უნივერსიტეტის სტუდენტები არიან. უჩა უფროსი ძმაა, უტა უმცროსია. ძმები ჩუღურეთში ცხოვრობენ. ჩუღურეთი თბილისის ძველი უბანია.

სავარჯიშო

იპოვეთ სიტყვებში ასო უ:

სტუმარი, უნივერსიტეტი, ფული უდაბნო, ურეკი, უთო, ულაყი, უბანი, ურდული, თუთა, მუსიკა, სურამი, ფუღურო.

იპოვეთ უ-ზე დაწყებული სიტყვები:

ულვაში, ურიკა, ბურთი, კუ, ურნა, ინდაური, უბანი, კურდღელი, ურჩხული, უფსკრული, უნივერსიტეტი, უცხო.

ანდაზა:

ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო.

წაიკითხეთ ენის გასატეხი:

კუბიკში რომ კუბიკია, იმ კუბიკშიც კუბიკია.

ფერები



- ცა ცისფერია.
- მზე ყვითელია.
- ბალახი მწვანეა.
- ზღვა ლურჯია.
- თოვლი თეთრია.
- მიწა შავია.
- ცისარტყელა ფერადია.

- პეპელას ჭრელი ფრთები აქვს.
- ზებრა ზოლიანია.
- ჭიამაიას წითელი ფრთები აქვს შავი წინწკლებით.
- მგელს რუხი ბეწვი აქვს.
- მელიას ჟღალი ბეწვი აქვს.
- კატას ღია მწვანე თვალები აქვს.
- მამალს წითელი ბიბილო აქვს.



ფიქრია თბილისის ზღვასთან ცხოვრობს. მის ეზოში წითელი, ყვითელი, თეთრი და სტაფილოსფერი ვარდები ყვავის. სახლთან ახლოს ზოოპარკია. ფიქრიას ფანჯრიდან კარგად ჩანს ფარშავანგის გალია. ფარშავანგს მოლურჯო-მომწვანო ფერის მბზინავი ბუმბული აქვს. მას აქვს მწვანე-ოქროსფერი ბოლო, რომელიც ლურჯი-ბრინჯაოსფერი კოპლებითაა დამშვენებული. ფარშავანგი ძალიან ლამაზი ფრინველია.

ფიფქი

ფიფქი

მე ფიფქი ვარ ერთი ციდა,
ჩამოვფრინდი ახლა ციდან
და მინდა, რომ მოგესალმოთ,
მსურს გახაროთ ამ სცენიდან:

მალე სხვა ფიფქებიც მოვლენ,
გათეთრდება ჩვენი მხარე
და ბავშვების ჟრიამულით,
გაიღვიძებს არემარე.

ნათია აბულაძე



წელიწადის ყველა დროს
თავისი **ფ**ერები აქვს.

გაზაფხული მწვანეა;
ჩნდება ლურჯი იები
და ვარდისფერი
ყოჩივარდები;
ყვავის წითელი,
თეთრი და
ყვითელი ვარდები.

ზაფხული ჭრელია – წითელი
ყაყაჩოებით, ყვითელი მზესუმზირებით
და მინდვრის **ფ**ერადი ყვავილებით.

შემოდგომა ულამაზესია –
მოყვითელო და მოწითალო
ფოთოლცვენით.

ზამთარი თეთრია – ქათქათა
თოვლით დაფარული და ბრჭყვიალა
საახალწლო ნაძვის ხეებით მორთული.

სავარჯიშო

იპოვეთ სიტყვებში ასო ფ:
მეფე, ფრთა, აფრა, ფიფქი, უფერო, სათაფლია, ფაფა, ფარდა, ფული.

იპოვეთ ფ-ზე დაწყებული სიტყვები:
ფერმა, მამა, ფუნჯი, აფრა, ფურცელი, საფერავი, ცა, ფერადი,
ფორთოხალი, ფუნიკულიორი, ფეხბურთი, ფაფა.

გამოიცანით:
როცა თოვს, ციდან რა ცვივა?
არ უნდა ბევრი ფიქრი,
ბამბის პატარა ფთილას ჰგავს, გამოიცანი .....

ქალაქში



- ქუთაისი დიდი ქალაქია.
- მცხეთა პატარა ქალაქია.
- ქალაქის ცენტრში არის მოედანი.
- მოედანზე თეატრის შენობა დგას.
- თეატრის შენობა დიდი და ლამაზია.
- ეს კინოთეტრია.
- ეს სპორტული მოედანია.

– ქუთაისი დიდი ქალაქია?

– დიახ, ქუთაისი დიდი ქალაქია.

ქუთაისის ცენტრში არის დიდი მოედანი და შადრევანი.

ქუთაისში გაიხსნა ტექნოლოგიური უნივერსიტეტი.

– ქალაქში მეტრო არის?

– არა, ქუთაისში მეტრო არ არის.

– მე მინდა ვესტუმრო ქუთაისს.

– გელით ამ ზაფხულს სიამოვნებით!

– დიდი მადლობა.



- ქუთაისი ძველი ქალაქია.
- აქ ბევრი უბანია.
- ქალაქში მოედინება მდინარე რიონი.
- რიონზე არის თეთრი ხიდი; აქ არის ჯაჭვის ხიდიც.
- ქუთაისში დგას ბაგრატის ტაძარი.
- ქალაქთან ახლოს გელათის ტაძარია.

ქ



ქვევრი

ქოლგა



ქვა



ქოქოსი

ქამარი



ქლიავი



ქალი

ქათამი

ქვაბი

ქურთუკი

ქუდი

ქუსლი



ქარხანა

ქეთო სოფლიდან **ქ**ალაქში ჩამოვიდა. **ქ**ალაქში ფართო **ქ**უჩებია, სოფელში – ვიწრო. სოფლის ვიწრო **ქ**უჩას ორღობე ჰქვია. **ქ**ეთომ **ქ**ალაქის **ქ**უჩებში გაისეირნა; დაათვალიერა **ქ**ართველი მხატვრების ნახატების გამოფენა, თექის ნაწარმი **ქ**ართული ორნამენტებით. ძალიან მოეწონა ტიხრული მინანქრის სამკაულები. **ქ**ეთომ მეგობრებს საჩუქრები უყიდა.
რა არის საინტერესო შენს ქალაქში? / სოფელში?

სავარჯიშო

იპოვეთ სიტყვებში ასო ქ:
ექიმი, საქანელა, ქუჩა, ქალაქი, ოქრო, საქმე, ქალთევზა, ქერა, ქვიანი, ქვითარი, ქოქოსი.

იპოვეთ ქ-ზე დაწყებული სიტყვები:
ქათამი, საქმე, ქანქარა, მანქანა, ქარვა, ქარი, ქარიშხალი, მზე, ქარქაში, ოქრო, ქოქოსი, ქამარი.

იპოვეთ და დათვალეთ სიტყვებში ასო ქ:
აქლემი, ექიმი, ქოლგა, მემანქანე, ქლიავი, ქუდი, ქვიშა, ქილა, ქარქაში, ქათქათა, ქება, ქოქოსი.

წაიკითხეთ ანდაზა:
მექოთნის ნებაა, ქოთანს ყურს სად გაუკეთებს.

ღვინო. ღვინის სამშობლო



- საქართველო ღვინის სამშობლოა.
- ღვინოს ყურძნისგან ამზადებენ.
- ქართული ღვინო ძალიან კარგია.
- მცენარეს, რომელიც ყურძენს ისხამს, ვაზი ეწოდება.
- ბევრ ვაზს ვენახი ჰქვია, დიდ ვენახს კი – ზვარი.
- ვაზის რტოს, რომელსაც ორი-სამი მტევანი ასხია, აკიდო ჰქვია.
- ყურძნის მშრალ მარცვლებს ქიშმიშს უწოდებენ.

პაპა ვენახს უვლის. პაპუნა ყურძენს კრეფს. ყურძენს გოდრებში აწყობენ. გოდრები მანქანებით მარანში მიაქვთ. ბიჭები მანქანებიდან ყურძენს საწნახელში ყრიან. პეტრე, პაპუნა და პავლე საწნახელში დგანან და ყურძენს წურავენ. დაწურულ წვენს ქვევრში ასხამენ. ქვევრში წვენი ჯერ მაჭრად იქცევა, მერე – ღვინოდ.

– ეს ქართული ღვინოა?
– დიახ, მოგეწონათ?
– ძალიან მომეწონა, განსაკუთრებული გემო და სურნელი აქვს!
– ყურძენიც განსაკუთრებულია.
– რა ჯიშის ყურძენია?
– საფერავი.
– ძნელია ვაზის მოვლა?
- ძალიან ძნელია; ბევრი შრომა სჭირდება; პატარა ბავშვივით უნდა მოვლა-პატრონობა.



საქართველოში ვაზის ბევრი ჯიში ხარობს. ქართული ვაზის ჯიშებია: საფერავი, რქაწითელი, ხარისთვალა, თითა, კრახუნა, ცოლიკაური, ალექსანდროული, უსახელაური, თეთრა, ოჯალეში, ალადასტური, ჩხავერი, ბროლა და სხვა. ღვინო სხვადასხვა ფერისაა – შავი, წითელი, თეთრი, ვარდისფერი. ქართულ ღვინოს ქვევრში ინახავენ და მას ქვევრის ღვინოს უწოდებენ. ყურძნის წვენისგან აკეთებენ ღვინოს და ადუღებენ ბადაგს; ბადაგისგან ამზადებენ თათარას და შემდეგ ავლებენ ჩურჩხელებს.

ქართული ღვინო

– პაპა, ყურძნით სავსე გოდრები მოიტანეს!
– ყურძენი ახლა საწნახელში უნდა ჩავყაროთ!
– საწნახელი რა არის?
– საწნახელი ყურძნის დიდი საწურია.
– ყურძენი როგორ უნდა დავწუროთ?
– ყურძენი საწნახელში უნდა ჩავყაროთ, მერე ჩვენ უნდა ჩავდგეთ და ფეხებით დავჭყლიტოთ!
– მიღებული წვენი ღვინო იქნება, პაპა?
– არა, ეგ ჯერ მხოლოდ ყურძნის წვენი იქნება, დუღილს დაიწყებს და რამდენიმე დღეში დამაჭრდება.
– პაპა, მაჭარი რა არის?
– მაჭარი ახალგაზრდა ღვინოა.
– ღვინოც ძველდება, პაპა?
– ძველდება და რაც უფრო ძველია ღვინო, უფრო გემრიელია!
– სად უნდა დაძველდეს ღვინო?
– ქვევრში, ღვინო ქვევრში ინახება. ქვევრის ღვინო უნიკალურია მსოფლიოში. ქვევრის ღვინო მხოლოდ ქართველებს გვაქვს!



სავარჯიშო

იპოვეთ სიტყვებში ასო ღ:

საღებავი, ზღარბი, ღობე, მაღალი, საღამო, ზღაპარი, ღამურა, ღიმილი.

იპოვეთ ღ-ზე დაწყებული სიტყვები:

ღორი, ლორი, მონეტა, ღვინო, ღამე, დღე, ღუზა, გემი, ღრმა, მაღალი, ღომი.

იპოვეთ და დათვალეთ სიტყვებში ასო ღ:

ღილი, ღრუბელი, ზღვა, ღობე, კარი, დღიური, დღე, შუადღე, ღუმელი, ლეღვი, ზღარბი, მღელვარე, საზღვარი, ღიღილო.

წაიკითხეთ ანდაზა:

შავ ლუდსა, წითელ ღვინოსა,
განა სულ ყველას სმა უნდა?!
პირზე მომდგარსა სიტყვასა,
განა სულ ყველას თქმა უნდა?!

ყვავილები



- ყვავილი ლამაზია.
- ყვავილებს კარგი სურნელი აქვს.
- ყვავილებისგან ლამაზ თაიგულს ამზადებენ.
- თაიგულს ლარნაკში დებენ.
- მე მინდვრის ყვავილები მომწონს.
- სახლში ქოთნის ყვავილები გვაქვს.



- ია გაზაფხულის მახარობელია.
- გვირილა სამკურნალო მცენარეა.
- მზესუმზირის თესლისგან ზეთს ხდიან.
- კაქტუსი ეკლიანი მცენარეა.
- ყაყაჩო მშვენიერია.
- ვარდი სურნელოვანია.



ყარყატის ყვავილნარი

ყარყატმა ყავისფერი ყუთი იპოვა. ყუთში ფერადი თესლები ეყარა. ყარყატმა რჩევისთვის ყვავს მიმართა. ყვავმა ყარყატს თესლები ყამირ მიწაში ჩააყრევინა. ყარყატი და ყვავი ყოველ საღამოს რწყავდნენ მიწას. გაზაფხულზე ყარყატის ბუდესთან საოცარი ყვავილნარი გაჩნდა: ყოჩივარდები, ყაყაჩოები, გვირილები. იქვე ყაბაყი და ყვავილოვანი კომბოსტოც გაიზარდა.

ყვავი-**ყ**ვანჩალას **ყ**ვავილნარში სილამაზის კონკურსია.
ჟიური უმკაცრესია: **ყ**ვანჩალა და **ყ**არყატი.
ყველა ღელავს: ენძელა თავდახრილი დგას; ია მორცხვად იღიმება;
ყვითელი ნარცისი თავმომწონედ იყურება; **ყ**ოჩივარდა
ყელმოღერებული ელოდება ჟიურის; ზამბახი ნერვიულობს; ვარდი
ლამაზი **ყ**ელსაბამით ამაყობს; **ყ**აყაჩოს ლოყას შავი ხალი უმშვენებს.
ჟიურიმ ვერავინ დაიწუნა და **ყ**ველაზე ლამაზიც ვერ შეარჩია.
გამოავლინე **ყ**ვავილნარის გამარჯვებული **ყ**ვავილი!



ყურძენი

ყულაბა



ხალხური ლექსი:

ყაყაჩოსა სიწითლითა
ყანა დაუმშვენებია.
ყმაწვილსა კარგი სწავლითა
დედა გაუხარებია.



სავარჯიშო

იპოვეთ სიტყვებში ასო ყ:

საყურე, საყვირი, ყბა, ყური, მაყვალი, საყვავილე, ყაბაყი.

იპოვეთ ყ-ზე დაწყებული სიტყვები:

ყმაწვილი, მაყვალი, ყაყაჩო, ყანა, სამყარო, ყველი, საყურე, ყური, ყურძენი, ყამირი, ყაბაყი.

იპოვეთ და დათვალეთ სიტყვებში ასო ყ:

ყელი, ყიყლიყო, ყვავი, ყვავილი, ყინული, საყელო, საყვავილე, ლოყა, ყარაული, ყინვა, ყარყატი.

შინაური ცხოველები



- ძაღლი ყეფს.
- კატა კნავის.
- ცხენი ჭიხვინებს.
- ღორი ღრუტუნებს.
- თხა კიკინებს.
- ვირი ყროყინებს.
- ქათამი კაკანებს.
- წიწილა წივის.
- ბატი სისინებს.

- კატის ბეწვი ფაფუკია.
- კატის კლანჭები ბასრია.
- ფრინველის ბუმბული ნაზია.
- ქათამი ნისკარტით სიმინდს კენკავს.
- მამლის ბიბილო წითელია.
- ცხენს, ძროხას, თხას, ცხვარს და ვირს ჩლიქები აქვთ.
- ძაღლს და კატას თათები აქვთ.

შმაგი შემოდგომაზე ბებიას და ბაბუას ფერმაში ესტუმრა. ფერმაში ბევრი შინაური ცხოველი და ფრინველი ჰყავთ: ძაღლი, კატა, ცხენები, ძროხები, ქათმები, ბატები, ინდაურები. შმაგი ცოტა შეშფოთდა, ამდენი ფრინველი და ცხოველი ერთად რომ დაინახა. რამდენიმე დღის შემდეგ შმაგი ფერმის ბინადრებს დაუმეგობრდა.



შორენა **შ**ოთას ფერმაში ესტუმრა. ფერმაში მისულ **შ**ორენას ძაღლი **შ**იგუ **შ**ეეგება. **შ**იგუმ **შ**ორენას დაუყეფა. **შ**ოთამ ძაღლს ძვალი გადაუგდო. **შ**ორენას **შ**ოთას ფერმა ძალიან მოეწონა. **შ**ოთა და **შ**ორენა ფერმიდან მინდორში წავიდნენ. **შ**ორენამ მშვენიერი ცხენი და კვიცი **შ**ენიშნა. იქვე დახტოდნენ თეთრი თხა და პატარა თიკანი. ცხვრები და ბატკნები ბღაოდნენ. ვირი და ჩოჩორი წყალს სვამდნენ. დედა ღორი და გოჭები ტალახში გორავდნენ. კატა და კნუტები მზეზე იწვნენ.

წაიკითხეთ ლექსი:



სახლი

ჩიტს ბუდე აქვს,
დათვს – ბუნაგი,
ციყვს – ფუღურო,
თაგვს კი – სორო.
ყველა თავის
ბინას აგებს,
ყველა თავის
სახლში ცხოვრობს.
ლოკოკინას
აქვს ნიჟარა,
კუს – ბაკანი,
როგორც რკინა.
ზურგით დააქვთ
შარა-შარა
სახლი კუს და
ლოკოკინას.
ყველას თავის
სახლი უყვარს.
რა სჯობია,
როცა დაღლილს
გელოდება
შენი კერა,
გელოდება
შენი სახლი.

ვასილ გულეური

სავარჯიშო

იპოვეთ სიტყვებში ასო შ:

შენობა, ვახშამი, შვილი, შოკოლადი, თუთიყუში, შორტი, შოშია, შველი, შეშა, ბალიში, ბავშვი.

იპოვეთ შ-ზე დაწყებული სიტყვები:

შუბლი, ძვალი, შრომა, ძროხა, შუქი, შავი, ციცარი, შემოდგომა, ინდაური, შაქარი, შარვალი, შველი.

ჩანთა და სასკოლო ნივთები

- ეს ჩემი ჩანთაა.
- ის ჩემი ძმის ჩანთაა.
- ჩემი ჩანთა წითელია.
- ჩემი დის ჩანთა მწვანეა.
- ჩემი ჩანთა დიდია და მძიმე.
- ჩემი დის ჩანთა პატარაა და მსუბუქი.
- ჩვენ სკოლაში ერთად დავდივართ.
- ჩვენი სკოლა სახლთან ახლოსაა.

ჩემს ჩანთაში აწყვია: წიგნები, რვეულები, სახატავი რვეული, საშლელი, სათლელი, კალამი, ფარგალი და ფანქარი. დავალებას რვეულში კალმით ვწერ. ფერადი ფანქრებით ვხატავ. საშლელით ნახატს ვშლი. სათლელით ფანქარს ვთლი. მოსწავლის წიგნში საინტერესო ტექსტებია. დავალებები სამუშაო რვეულშია.



დაჩი საკლასო ოთახში შევიდა და ჩანთა მერხზე დადო. მანჩოს შემთხვევით დაჩის ჩანთა გადმოუვარდა. ნივთები ძირს დაცვივდა. მანჩო შეწუხდა და ნივთების ჩალაგება დაიწყო.

– დაჩი, ვისი წიგნი გიდევს ჩანთაში?

– ჩემს დას სახლში დარჩა მათემატიკის წიგნი და მე წამოვუღე.

– როგორი მზრუნველი და ყურადღებიანი ყოფილხარ!

– გმადლობ, მანჩო, – თქვა დაჩიმ და კლასიდან გავიდა.

– დღემ როგორ ჩაიარა? – ჰკითხა დედამ ვაჩეს.
– ძალიან კარგად, სკოლაში ჩურჩხელები ამოვავლეთ, – უპასუხა ვაჩემ.
– შენ რამდენი ჩურჩხელა ამოავლე?
– მე ხუთი ჩურჩხელა ამოვავლე და ყველა უჩას ვაჩუქე.
– ყოჩაღ! – გაიღიმა დედამ.

ჩანგური

„ჩანგურს სიმები გავუბი,
მოვმართე ნელა-ნელაო;
შევუხმატკბილე ერთმანეთს:
„ოდელა-დელა-დელაო!“

ჩანგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,
სხვადასხვა კუთხის მცხოვრები:
„ოდელა-დელა-დელაო!“

აკაკი წერეთელი

სავარჯიშო

იპოვეთ სიტყვებში ასო ჩ:
ჩანთა, ჩირი, ჩაქუჩი, ჩექმა, ჩანგალი, სენდვიჩი, ჩოგანი, ყოჩაღი.

იპოვეთ ჩ-ზე დაწყებული სიტყვები:
ჩაი, აჩმა, ჩანჩქერი, სუში, ჩილი, შვილი, ჩიტი, ბაჩო, ჩუმი, ბუმი, ჩქარი, ჩაიდანი.

იპოვეთ და დათვალეთ სიტყვებში ასო ჩ:
საჩეჩელი, ფუჩეჩი, ჩონგური, ჩოჩორი, ჩანგალი, ჩოხა, ფუნჯი, სარჩო.

- ჩოხა მამაკაცის ქართული ტრადიციული სამოსია.
- ფაფახი ბეწვიანი ქუდია.
- ფაფახს ცხვრის ბეწვისგან კერავენ.
- ჩიხტიკოპი ქალის ქართული ტრადიციული თავსაბურავია.

- ცოტნე ქართულ ცეკვას სწავლობს.
- ცოტნე სოლოს ცეკვავს.
- ცოტნეს და, ციცია, სამაიას ცეკვავს.
- დედამ ცოტნეს ახალი ჩოხა შეუკერა.
- ცოტნეს და ციციას ძალიან უყვართ ქართული ცეკვა.

- ნუცა ცეკვაზე დადის.
- ის ქართულ ცეკვას სწავლობს.
- ნუცას მოსწონს გრძელი თეთრი კაბა და ლამაზი ფატა.
- ნუცასთან ერთად ცოტნეც ცეკვავს.
- ცოტნეს ჩოხა-ახალუხი აცვია.


ცეცხლი
ცა
19
ცხრამეტი
ციგა
ციყვი
ცული
ცხვირი
ცაცხვი
ცხვარი
ცხენი
9
ცხრა
ცოცხი
ცარცი
ციცარი
ცისარტყელა
ციცინათელა



წაიკითხეთ ლექსი:

ციცინათელა

ჩემო ციცინათელა!
რად მიჰფრენ ნელა-ნელა?
შენმა შორით ნათებამ
დამწვა და დამანელა!
ანათებ და კარგი ხარ,
მე თუმც არას მარგიხარ!
ჩემი იყო, ის მინდა,
შენ კი სხვისი ბარგი ხარ!

აკაკი წერეთელი

ციციას და ცოტნეს ეზოში ცაცხვის ხე დგას. ცაცხვის ხეზე ციყვი დარბის. იქვე ცხვარი ბალახს ძოვს. ცოტნე ცხენით სეირნობს. მამა ეზოში ცეცხლს ანთებს. ციცია ცომს ზელს, რომ ხაჭაპური და პიცა გამოაცხოს.

სავარჯიშო

იპოვეთ სიტყვებში ასო ც:
ცხენი, ცული, ციყვი, ცისარტყელა, ცა, ცომი, ცურვა, ცეკვა, მოცეკვავე, ფურცელი, ცაცხვი.

იპოვეთ ც-ზე დაწყებული სიტყვები:
ფაფახი, ცხრა, ცხვირი, სცენა, ცხვარი, მოცეკვავე, დოლი, ცურვა, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი.

წაიკითხეთ წინადადებები და დათვალეთ სიტყვები:
ბალახი ცვრიანია. ციცინო და ცირა ციცინათელებს ეძებენ. ცოტნე ცეკვაზე დადის.

ძალოსნობა და სპორტი

- ძალოსნობა ოლიმპიური სპორტის სახეობაა.
- ჩვენს ქვეყანას ბევრი ძალოსანი ჰყავს.
- ძალოსნობა ძლიერთა სპორტია.
- ძალოსნობის სახეებია: აჭიმვა, ატაცი, აკვრა.
- ძალოსნები ბევრს ვარჯიშობენ.

- საქართველოს არაერთი ცნობილი ფეხბურთელი ჰყავს.
- თბილისის „დინამოს“ სტადიონი ცნობილი ქართველი ფეხბურთელის, ბორის პაიჭაძის სახელობისაა.
- ნონა გაფრინდაშვილი მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე ქალია.
- ზაზა ფაჩულია ცნობილი ქართველი კალათბურთელია.



ლევანი ბევრს ვარჯიშობს. ის სიმძიმეებს ეწევა. მას სურს ძალოსანი გახდეს. მამამ უამბო, რომ ეს ოლიმპიური სპორტის სახეობაა. საქართველოში ძალოსნობა დიდი ხანია არსებობს. საქართველოს და მსოფლიოს უძლიერესი ძალოსნები არიან ლაშა ტალახაძე და გიორგი ასანიძე.

ძ

ძმა – ძმები

ძაღლი – ძაღლები

ძიძა



ძეგლი

ძაბრი

ძილი

ძაფი

ძვალი



ძროხა – ძროხები



ძეხვი



dიძამ პატარა dმები და მათი dაღლი სასეირნოდ წაიყვანა. dაღლმა dეგლთან ახლოს dვალი იპოვა. dმებმა და dაღლმა დიდხანს ითამაშეს. dიძამ dმებს დაუძახა. ისინი სახლში ერთად დაბრუნდნენ. dმებმა მალე დაიძინეს.

სავარჯიშო

იპოვეთ სიტყვებში ასო d:

მძიმე, ძროხა, ძნა, ძაფი, ძვალი, საძროხე, ბიძა, ნაძვი, რძე, ძილი.

იპოვეთ d-ზე დაწყებული სიტყვები:

ძეგლი, ძაღლი, ძილი, ძმარი, ძუა, ძელი, ძალოსანი, თასი, შტანგა, ძეხვი, ძველი.

წაიკითხეთ და დაიმახსოვრეთ გამოთქმა:

ძალა ერთობაშია!

წიგნი

- ამ წიგნს ლამაზი ყდა აქვს.
- ყველა წიგნს აქვს თავფურცელი და სარჩევი.
- ბიბლიოთეკაში ბევრი წიგნია.
- წიგნები თაროებზე აწყვია.
- ბიბლიოთეკას ბევრი მკითხველი ჰყავს.

- ჩემს ქალაქში ბევრი ბიბლიოთეკაა.
- ბიბლიოთეკაში ხშირად დავდივარ.
- ბიბლიოთეკიდან ლექსების კრებული გამოვიტანე.
- წიგნს, რომელშიც მხოლოდ ლექსებია, პოეზიის კრებული ჰქვია.

წათე ძველი ქართული სახელია. წათეს ძალიან უყვარს წიგნების კითხვა. მას ბევრი წიგნი აქვს. წათეს უყვარს წიგნები ილუსტრაციებით. მან უკვე ბევრი ზღაპარი წაიკითხა. წათე ხშირად დადის ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკარი კარგად იცნობს წათეს. ის ეხმარება მას წიგნების შერჩევაში.

წვენი

წვიმა

წერილი

წისქვილი





წრუწუნა

წამალი











წერო და **წ**რუწუნა ბიბლიოთეკაში მუშაობენ. **წ**რუწუნა **წ**ეროს ეხმარება: **წ**იგნებს აწვდის მკითხველებს. **წ**ერო ზედა თაროდან იღებს **წ**იგნებს, **წ**რუწუნა კი მკითხველებთან მიაცუნცულებს.

ერთხელ **წ**ერომ **წ**ელი იტკინა და ბიბლიოთეკაში ვერ მივიდა. **წ**რუწუნამ მარტომ სცადა **წ**იგნების ჩამოღება ზედა თაროდან, მაგრამ ყველა **წ**იგნი ძირს დაუცვივდა. ის შეშინდა და საცოდავად აწრიპინდა. **წ**რიპინის ხმაზე მკითხველები მოვიდნენ; ზოგმა **წ**ყალი მოუტანა, ზოგმა – **წ**ამალი, ზოგმაც **წ**იგნები აალაგა. **წ**რუწუნა გაახარა მეგობრების მზრუნველობამ.

სავარჯიშო

იპოვეთ სიტყვებში ასო წ:
წერო, წაბლი, წყალი, წრიპინი, წვეულება, მწერალი, წვიმა, წინდა, წითელი, წითელქუდა.

იპოვეთ წ-ზე დაწყებული სიტყვები:
წიგნი, ლექსი, წებო, პოეტი, ზღაპარი, წვიმა, წინდა, წითელი, წვენი, წკეპლა, პოემა, წიწილა.

წაიკითხეთ:
წიგნი კარგი მეგობრისთვის დაწერილ წერილს ჰგავს.

ჭამა-სმა



- ხინკალი ქართული კერძია.
- ხაჭაპური ყველით მზადდება.
- მწვადს შამფურზე წვავენ.
- თათარა ყურძნის წვენისგან მზადდება.
- ჩურჩხელა შეიძლება იყოს ნიგვზის ან თხილის.
- გოზინაყი საახალწლო ტრადიციული დესერტია.

- ქაბუკას საყვარელი კერძი ხინკალია.
- ქაბუკას ხინკლის მოხვევა ბებიამ ასწავლა.
- ქაბუკა და მისი მეგობარი მაყალზე მწვადს წვავენ.
- ბებიამ თათარა მოამზადა.



ოჯახში სტუმრები მოვიდნენ. სუფრა ეზოში გავშალეთ. მამამ მაყალზე მწვადი შეწვა. დედამ ხაჭაპური გამოაცხო და ქათამი შეწვა. ბებომ ხინკალი მოახვია. ჩემმა დამ სამზარეულოდან კერძები გამოიტანა და მაგიდაზე დაალაგა. ბოლოს სტუმრებს დესერტი მივართვით.



ეზოში, **ჭ**ადრის ქვეშ, სტუმრები **ჭ**ადრაკს თამაშობენ. იქვე **ჭ**იანურის ხმა ისმის და ბიჭები **ჭ**იდაობაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. ბავშვები სუფრასთან სხედან და **ჭ**არხლის სალათს, კუჭმაჭს და **ჭ**ვიშტარს მიირთმევენ. მათ მაჭარიც დააგემოვნეს. ნინიმ **ჭ**ურჭელი აალაგა. **ჭ**ერმის ხესთან **ჭ**რიჭინების **ჭ**რიჭინი და მერცხლების **ჭ**იკჭიკი ისმის. **ჭ**რელაჭრულა სუფრაზე ორი **ჭ**იამაია დაცოცავს. ერთი ნინის თითზე ააცოცდა: „**ჭ**ია, **ჭ**ია მაია, დღეს როგორი დარია?“ – გაიხსენა ნინიმ ბაღში ნასწავლი ლექსი.

ჭექა-ქუხილი



წაიკითხეთ ლექსი:

„ჭია, ჭია მაია,
დღეს როგორი დარია?
დაგროვილი ოცნებები
შენთან მომიტანია.
ისე უცებ მომიფრინდი
პაწაწინა ფერიავ,
დაკოპლილი სურვილებით
გული გადამერია.
ჭია, ჭია მაია,
დღეს ხომ კარგი დარია?
თუ ამდენი რამე გთხოვე,
რა ვქნა, შენი ბრალია“.

მაია ბარათაშვილი

სავარჯიშო

იპოვეთ სიტყვებში ასო ჭ:
კუჭმაჭი, ჭადრაკი, ჭია, სუფრა, მაჭარი, ჭვიშტარი, ჭიდაობა, ჭურჭელი, ჭაბუკი, ჭაღარა, ჭუჭყი.

იპოვეთ ჭ-ზე დაწყებული სიტყვები:
მჭადი, ხაჭაპური, ჭადარი, ჭიამაია, შოთი, ჭიაყელა, ჭა, ჭარხალი, ჭერი, ჭამა, ჭიანჭველა, ჭორფლი, ნაჭერი, ბიჭი.

ხასიათი, განწყობა

- მე ბედნიერი ვარ.
- კატო მოწყენილია.
- ბესო წუხს წიგნის დაკარგვის გამო.
- ბაბუა იღიმება.
- ხვიჩა ცელქობს.
- ბებია მშვიდად ქსოვს.
- ნინო ტირის.

მე მიყვარს სიცილი, ამიტომ სულ მხიარულ ხასიათზე ვარ.
ხატია ბუტიაა; ყველაფერი სწყინს და იბუტება.
ბებია ბრაზდება, როცა ნივთებს უწესრიგოდ ვყრი.
დედა ხშირად მეფერება და ამ დროს ძალიან ბედნიერი ვარ.
შენ როგორი ხასიათი გაქვს?

ხათუნა და ხვიჩა ეზოში თამაშობენ. უცებ ხატია გამოჩნდა
და ხათუნას სათამაშო წაართვა. ხათუნა ატირდა. ხვიჩა ხატიაზე პატარაა,
მაგრამ არ შეშინდა და სათამაშო უკან დააბრუნებინა.
ხათუნა მეგობრის დახმარებამ გაახარა.



ხვიჩა და ხატია და-ძმა არიან. ხვიჩა მხიარულია და სულ იღიმება. ხატია სევდიანია და ხშირად მოწყენილია. ხატია როცა ცუდ ხასიათზეა და ტირის, ხვიჩა ცდილობს გააცინოს. ხვიჩას შეუძლია სახის მიმიკების ცვლა და პაროდიების კეთება; ხატიას ეს ძალიან ამხიარულებს. ხატია მშვიდია, თუმცა ბუტიაა. ხვიჩა ცელქია, მაგრამ მზრუნველია.

სავარჯიშო

იპოვეთ სიტყვებში ასო ხ:

ხახვი, ხალათი, ხერხი, სახელური, სახლი, ხორცი, ხანძარი, მხიარული, სასახლე, ხოხობი.

იპოვეთ ხ-ზე დაწყებული სიტყვები:

საჩხრეკი, ხურდა, ხორბალი, სახერხი, ხალიჩა, ხეივანი, სავარცხელი, ხაზი, საჩხერე, მსხალი.

წაიკითხეთ ანდაზა:

ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო.

ჯომარდობა

ჯომარდობა ექსტრემალური სპორტია.
ჯომარდობა მთის მდინარეზე იმართება.
საქართველოში ჯომარდობა იმართება
შემდეგ მდინარეებზე:
არაგვი, მტკვარი, რიონი, აჭარისწყალი.

ბიჭებს სამაშველო ჟილეტები აცვიათ და ჩაფხუტები ახურავთ. ისინი ნავში სხედან. ნავს ნიჩბები აქვს. ბიჭებმა ნავით წყალში შეცურეს და ჯომარდობისთვის მოემზადნენ.

ეს ჯომარდობის კლუბია. აქ არიან ტურისტები და ჯომარდობით დაინტერესებული ადამიანები. ჯაბას მოსწონს ჯომარდობა. ჯაბა და მისი მეგობრები ვარჯიშობენ. ისინი ნავს ბერავენ და ჯომარდობისთვის ემზადებიან. ყველას აქვს ნიჩაბი. სამაშველო ჟილეტებისა და ჩაფხუტების გარეშე ჯომარდობა არ შეიძლება. აუცილებელია სათადარიგო ტანსაცმელი. აუცილებელია ჯომარდობის წესების ცოდნა.

– ჯაბა, ჩვენ ჯომარდობაზე მივდივართ.
– მეც თქვენთან ერთად წამოვალ.
– ჯომარდობის გამოცდილება გაქვს?
– გამოცდილება საჭიროა?
– რა თქმა უნდა! ცურვა იცი? ვარჯიშობ? ნავში მჯდარხარ?
– ცურვა ვიცი. ნავშიც ვმჯდარვარ და ვვარჯიშობ კიდეც.
– შენ სამაშველო ჟილეტი და ჩაფხუტი წამოიღე. გასაბერი ნავი და ნიჩბები ჯომარდობის კლუბს ექნება.
– რომელ მდინარეზე მივდივართ?
– არაგვზე.
– ჯომარდობაში სხვა ჯგუფებიც მონაწილეობენ?
– რა თქმა უნდა, კარგად მოემზადე. ჯომარდობა ადვილი არაა.

ჯომარდი ყოჩაღსა და მარჯვეს ჰქვია.
ჯომარდობა წყლის სპორტის სახეობაა. **ჯ**ომარდობისთვის
გამოიყენება გასაბერი ნავი. ნავში **ჯ**დება თორმეტი ადამიანი.
ჯომარდს ახურავს ჩაფხუტი და აცვია სამაშველო ჟილეტი.
ჯომარდები სწრაფად მოძრაობენ წყლის ზედაპირზე, ტალღებზე.



წაიკითხეთ ტექსტი:

ჯიუტი თხები

მდინარეზე ვიწრო ხიდი იყო. ამ ხიდზე ორი ჯიუტი თხა შეხვდა ერთმანეთს. გვერდის აქცევა შეუძლებელი იყო. ერთ-ერთს უკან უნდა დაეხია და გზა დაეთმო.

– უკან დაიხიე! – უთხრა ერთმა მეორეს.

– ნურას უკაცრავად! რატომ უნდა დავიხიო? მე პირველი ამოვედი ამ ხიდზე. შენ თვითონ დაიხიე!

არც ერთს არ უნდოდა უკან დახევა. მოუვიდათ ჩხუბი. დაეჯახნენ ერთმანეთს რქებით. ჯიუტმა თხებმა თავი ვეღარ შეიმაგრეს და ყირამალა გადაეშვნენ წყალში.

იაკობ გოგებაშვილი



სავარჯიშო

იპოვეთ სიტყვებში ასო ჯ:

ვარჯიში, ჯეჯილი, ჯადოქარი, ჯარისკაცი, ჯვარი, ჯიქი, ჯემპრი.

იპოვეთ ჯ-ზე დაწყებული სიტყვები:

ჯაქვი, საქე, ჯამი, კოჯორი, ქიქა, ჯიქი, ჯიხვი, ჩანჩქერი, ჯეჯილი, ჯვარი.

დათვალეთ სიტყვებში ასო ჯ:

ჯანმრთელობა, ჯოხი, ჯებირი, ჯარი, ჯაქვი, ჯიბე, მარჯვენა, ჯამბაზი, ჯუჯა.

- საქართველო დიდი ისტორიის ქვეყანაა.
- საქართველოს დედაქალაქი არის თბილისი. საქართველო მდებარეობს კავკასიაში, კავკასიონის მთიანეთის სამხრეთით.
- საქართველოს დასავლეთით შავი ზღვა ესაზღვრება.
- საქართველო ევროპისა და აზიის საზღვარზე მდებარეობს.



ჰიმნი ქვეყნის ეროვნული სიმბოლოა.

დროშა ქვეყნის ეროვნული სიმბოლოა.

გერბი ქვეყნის ეროვნული სიმბოლოა.

ჰიმნი, დროშა და **გერბი** ქვეყნის ეროვნული სიმბოლოებია.



საქართველოს ჰიმნი

„ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი
წილნაყარია ღმერთთანა.
თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის,
ამოდის და ორ ზღვას შუა ბრწყინდება.
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება!“

ჰიმნი ქვეყნის საქებარი სიმღერაა. **ჰ**იმნს ასრულებენ ეროვნულ დღესასწაულებზე, დამოუკიდებლობის დღეს, საერთაშორისო ჩემპიონატებზე – გამარჯვებულების დაჯილდოების დროს. **ჰ**იმნი სახელმწიფოს სიმბოლოა.
საქართველოს ამჟამინდელი სახელმწიფო **ჰ**იმნია „თავისუფლება“.
ტექსტის ავტორია დავით მაღრაძე, მუსიკის – ზაქარია ფალიაშვილი;
მუსიკა **ჰ**იმნად დაამუშავა იოსებ კეჭაყმაძემ.





წაიკითხეთ ნაწყვეტი ლექსიდან:

ხატის წინ

„სანთელი ჩემი ხორცია,
სიცოცხლე – მოკლე პატრუქი,
ნათელი – ქკუა-გონება,
იმათგან გამონაშუქი.

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე – მთელი ქვეყანა,
და რომ ვიწვოდე, ვდნებოდე,
არ შემიძლია მეც, განა?“

აკაკი წერეთელი

სავარჯიშო

იპოვეთ სიტყვებში ასო ჰ:
ჰაერი, ჰალვა, ჰანტელი, ჰიპოპოტამი, ჰამაკი, კოპენჰაგენი, დოჰა.

იპოვეთ ჰ-ზე დაწყებული სიტყვები:
ჰაერი, დილა, ჰამბურგერი, ჰელსინკი, ფანტელი, ჰანტელი, ჰიპოპოტამი, ჰიმნი, ჰოლი, ჰოსპიტალი, ჰერბარიუმი, ყვავილები, ჰოროსკოპი.

იპოვეთ და დათვალეთ სიტყვებში ასო ჰ:
ჰამაკი, ჰალსტუხი, ჰაერი, ჰამბურგერი, ჰიპოპოტამი, ჰალვა, ფაჰლავა, ჰიმნი, ჰოლი, ჰიგიენა, ჰერბარიუმი.

შენიშვნებისთვის

შენიშვნებისთვის